ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3928817

ნომერი: AR1584974

თარიღი : 16.03.2018

გაცემის თარიღი : 25.04.2018

გაცნობის თარიღი : 25.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ზაზაშვილი პ/ნ 01008014922
- თბილისი დ. ბაგები კორ. 3 ბ. 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 16 მარტის #AR1584974 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.14.09.008.343 მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 1 (სზ–1)–ში, რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს მხოლოდ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-სამეურნეო ან/და საკარმიდამო გამოყენების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს; განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
0,8
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
200
კვ.მ
მინიმალური სიგანე
9
მეტრი
მინიმალური სიღრმე
15
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15 *
მეტრი
შენიშვნა
* სასტუმროსთვის

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.14.09.008.343 მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ გაცემულია 2011 წლის 13 სექტემბრის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი კომპლექსის განსათავსებლად; რადგანაც პროექტი შეთანხმებული არ არის მოთხოვნის ტექსტში უნდა დააფიქსიროთ, რომ გსურთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმება, რისთვისაც მიწის ნაკვეთის ან აქტის მესაკუთრეები უნდა დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად ან/და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანმობა ან მინდობილობა;

ასევე გაცნობებთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება სს „თელასის“ ხაზობრივ ნაგებობათა ქსელი, ამიტომ ამ ტერიტორიაზე ნებისმიერი მშენებლობა უნა იქნას შეთანხმებული სს „თელასთან, საჭიროა წარმოდგინოთ კომპანიის პოზიცია თქვენი მიწის ნაკვეთის სამშნებლობა განვითარებასთან დაკავშირებით.

შენობა–ნაგებობის განტავსება შესაძლებელია სამსახურის მიერ განსაზღვრული უკანა ეზოს დაცვის პირობით (იხილეთ დანართი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 16 მარტის #AR1584974 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.